მუნიციპალურ დონეზე სოციალური პოლიტიკის შემუშავების და აღსრულების შესაძლებლობათა შეფასების მეთოდოლოგია

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

შინაარსი

1. შესავალი: შეფასების მნიშვნელობა
    - დაგეგმვის არსებული პრაქტიკა, მისი ნაკლოვანებები
    - პოლიტიკის პროცესის უპირატესობები
    - კვლევა, როგორც დაგეგმვის მყარი საფუძველი

2. შეფასების მეთოდოლოგიის ზოგადი აღწერა
    - მეთოდოლოგიის ნოკლე აღწერა და მიდგომები
    - კვლევის მეთოდების და ინსტრუმენტების ზოგადი მიმოხილვა
    - კვლევის მოცულობა - დიდი და მცირე/დამატებითი კვლევა
    - კვლევის პერიოდულობა
    - საჭიროების ცნება და სახეები

3. შეფასების პროცესის და ეტაპების დეტალური აღწერა

3.1. მოსამზადებელი ეტაპი:
    - სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და საქმიანობის წესი;
    - სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება;
    - დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება;
    - კვლევის ჩატარების გეგმა-გრაფიკი;

3.2. კვლევის ეტაპი:
    - კვლევის ჩატარება მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით;
    - მიღებული მონაცემების სისტემატიზაცია და ზოგადი ანალიზი;
    - კვლევის ანგარიშის პროექტი

3.3. საჭიროებათა კვლევის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის, საჯარო განხილვა; უკუკავშირი;

4. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში, კვლევის მიგნებები

შესავალი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, თვითმმართველი ერთეულები ყოველწლიურად გეგმავენ, შეიმუშავებენ და ახორციელებენ სოციალურ და ჯანდაცვის მუნიციპალურ პროგრამებს. 2020 წლამდე აღნიშნული პროგრამების დაგეგმვა და შესრულება ძირითადად ხდებოდა მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ნებაყოფლობით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში. 2018-2020 წლებში „ბავშვის უფლებათა კოდექსის“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, გაიზარდა მნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთერთი მნიშვნელოვანი აქტორი სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში.

1. **შეფასების ჩატარების მნიშვნელობა: არსებული პრაქტიკა, მისი ნაკლოვანებები. მონაწილეობითი დაგეგმვის უპირატესობები;**

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ყოველწლიურად მტკიცდება მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერაში ჩადებული ძალისხმევის მიეხედავად, მიღებული შედეგი ხშირად არ არის დახარჯული ფინანსური რესურსის პროპორციული, რაც იწვევს

- ბენეფციარების უკამოყოფილებას და მათთვის მოწოდებული მომსახურების დაბალ ხარისხს.
- საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ;
- სოციალური და ჯანდაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის ამოცანების მიღწევის შეფერხებას;
- საჯარო ფინანსების მართვის დაბალ ეფექტიანობას;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული სოციალური მომსახურების დაბალ ხარისხს.

ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ პოლიტიკას ეფექტიანს ხდის პოლიტიკის/პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების სისტემური, თანმიმდევრული, უწყვეტი და გამჭვირვალე პროცესი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა სოციალურ სფეროში საჭიროებს სისტემურ მოდგომას - პრიორიტეტებისა და ამოცანების განსაზღვრას, პოლიტიკის ჩამოყალიბებას, პროგრამების შემუშავებას,

განხორციელებას და შეფასებას. ამ პროცესის სწორად წარმარმართვის აუცილებელის მუნიციპალიტს გააჩნდეს არა მხოლოდ უფლებამოსილებები და ფინანსები არამედ შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და კვალიფიციური მოხელეები. ვინადაინ შესაბამისი ადამიანური რესურსების და გამართული მმართველობითი სტრუქტურის გარეშე მუნიციპალიტეტები ვერასდროს უზრუნველყოფენ ახალი ამოცანების ეფეტიანად შესრულებას სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

შესაბამისად, სოციალური მომსახურების სფეროში დეცენტრალიაციის პოლიტიკის წარმატებისა და მუნიციპალიტეტბისთვის გადაცემული უფლებამოსილებათა წარმატებით განხორციელების უზრუნვეყოფისთვის აუცილებელია თავდაპირველ ეტაპზე მოხდეს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობის შეფასება.

შესაძლებლობათა შეფასების ანალიზის მიზანია ზუსტად დაადგინოს თუ რამდენად აქვს მუნიცპალიტეტს პოტენციალი სწორად, ხარისხიანად და შედეგიანად აღასრულოს გადაცემული უფლებამოსილებანი.

შესაძლებლობათა შეფასების დროს პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: ა) რამდენად სრულუფილია მუნიციპალიტეტის სამართლერივი ბაზა ასეთ უფლებამოსილებათა აღსრულებისთვის, ბ) რამდენად გამართულია მუნიციაპიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა გადაცემულ უფლებამოსილებათა ფარგლებში პოლიტიკის/პროგრამის შემუშავებისა და აღსრულებისთვის და გ) რამდენად ჰყავს მუნიცპალიტეტს გადაცემული უფლებამოსილებათა სფეროში სპეციფიურ მომსახურების და მმართველობის მიწოდებისთვის საჭირო კვალიფიციური პერსონალი. ამ ძირითად კითხვებზე პასუხი ცხადად გვაჩვენებს თუ რამდენად არის მზად დღეს არსებული მუნიცპალური სისტემა შეეგებოს ახალ უფლებამოსილებებს და მოსახოაბას მიეწოდოს მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი პროდუქტი.

2. შეფასების მეთოდოლოგიის ზოგადი აღწერა

შეფასების კვლევის ამოცანაა დაადგინოს მუნიცპალიტეტის უფლებამოსილებების, რუსურსების, ადმინისტრიუციული სტრუქტურის და პესონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ახლად მინიჭებული უფლებამოსილების წარმატების აღსრულების ამოცანასთან შესაბამისობაში.

შეფასების კვლევის შედეგად დგინდება:

- თუ რამდენად სრულია ადგილორივი თვითმმართველობის უფლებამოსილებანი
- რამდენად ეფექტიანია კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა და ადგილობრივი მარებულირებელი ნორმები;
- რამდენად უზრუნვეყოფილია მინიშებული უფლებამოსილება შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსებით;
- რამდენად გამართულია ორგანიზაციის ადმინისტრაციული სტრქტურა და მმართველობით პროცედურები დასახული ამოცანების მისაღწევად;

- აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტის შესაბამის თანამშრომლობს ამ უფლებამოსილების აღსრულებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება
- გააჩნია თუ არა მუნიციპალიტეტს შედეგების ანალიზის და შეფასების სისტემა
- ჩამოყალიბებულია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის, მიზნობრივ ჯგუფებთან კონსულტაციის და გამშვირვალეობის პროცედურები.

კვლევის ტექნიკა და ინსტრუმენტები

წინამდებარე მეთოდოლოგიის კვლევითი ტექნიკა ემყარება თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების რაციონალურ და შეწონილ გამოყენებას საჭიროებათა კვლევის ამოცანების შესაბამისად.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ემყარება ემპირიულ ანალიზს და ამ პროცესში მიღებული მონაცემები მეტწილად რიცხვითია, რაც საშუელებას იძლევა დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შესასაწავლ ფენომენსა და სხვადასხვა ფაქტორებს შორის. ამ მეთოდის გამოყენებით მიიღწევა კონკრეტული, დაკავშირებადი, ზოგადი და განმეორებადი დასკვნები რაც საშულებას გვაძლევს აღვწეროთ კვლევის ობიესტი და ავხსნათ მისი არსი. ამ მეთოდის ინსტრუმენტებია მონაცემთა მიღება კითხვარის მეშვეობით, სტატისტიკური დათვლა, კორელაციური ანალიზი, მიზეზ შედეგობრივი ანალიზი და ექსპერიმენტული ანალიზი.

თვისებრივი კვლევის მეთოდი ემყარება სოციალური ურთიერთქმედების გაგებას და ინტერპრეტაციას. ის აღწერს სოციალურ მოვლენათა პარამეტრებს, თემებს, ერებს და საზოგადოებებს, ის მნიშვნელობას ანიჭებს კონტექსტს რომელშიც მიმდინარეობს კვლევა. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია როცა საკვლევი თემა ექვემდებარება სოციალურ და საზოგადოებრივ პროცესებს. შესაბამისად, ამ კვლევითი მეთოდის მიღწეულ დასკვნები შეიცავენ ადამიანურ პერსპექტივას და სოციალურ განზომილებას. თვისებრივი კვლევისას გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები როგორიცაა - სოციოლოგიური კვლევა, დაკვირვება, ბიბლიოგრაფიული კვლევა, ფენომენალური კვლევა, შემთხვევათა შესაწავლა და სასაბუთებული თეორიის მეთოდი.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში არსებული რეალობის, ფინანსური თუ ადმინისტრაციული რესურსების გათავლისწინებით ჩვენ კვლევის ორივე მეთოდის ქვეშ შევარჩიეთ სწორედ ისეთი ინსტრუმენტები რაც, ერთის მხრივ, მაქსიმალურად უზრინველყოფს ინფორმაციის მიღებას წინასწარ განსაზღვრული წყაროებიდან და ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გამოტანას ხოლო, მეორეს მხრივ, მათი გამოყენება დაძლევადია ჩვენი მუნიციპალიტეტებისთვის.

საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტების ზოგადი აღწერა:

1. საკანონმდებლო ბაზის ანალიზი - მნიშვნელოვანია შესწავლა თუ რამდენად სრულყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა და რამდენად იძლევა იგი საშუალებას რომ მუნიციპალიტეტებმა აჩვენონო მაქსიმალური ხარისხი და ეფეტურობა. შესწავლილი იქნება საქართველოს

ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი "სოციალური დაცვის შესახებ", საქართველოს კანონი "სოციალური მომსახურების ორგანიზების შესახებ", საქართველოს კანონი 'შშმ პირთა უფლებების შესახებ" და საქართველოს კანონი "ბავშვის უფლებათა კოდექსი"

2. ინსტიტციური შესაბამისობის ანალიზი - ექსპერტების მიერ მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურის შესწავლა და მისი შესაბამისობის დადგენა ახალ უფლებამოსილებათა აღსრულების ამოცანასთან შესაბამისობაში. ასევე შესწავლილი იქნებდა სოციალური და ჯანდაცის სფეროში მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტები, პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და საბიუჯეტო პროგრამები.
3. სოციალურ სფეროში მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის შეფასება - მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურებში დასაქმებული პირების ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე მოხდენა დადგენა ა)რა არის ამ მოხელეთა კვალიფიკაციის სფეროები, ბ) რა სახის ცოდნის და გამოხდილების ნაკლებობას აწყდებიან ისინი თავისი უფლებამოსილების განხორცილებაში, გ) რა სახის ტექნიკური დახმარების (გარე ექსტეპრტიზის) შესაძლებელობებია მუნიცპალიტეტში და დ) რა არის მათი შეცნობილი საჭიროებანი კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. ანკეტური გამოკითხვა მოიცავს ონლაინ ღია კითხვარით მოსაზრებათა დადგენას. სამიზნე ჯგუფებია: მერიის სოციალური განყოფილების თანამშრომლები, საკრრებულის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები. (რეპრეზენტაბელურობის ზღვარი მიზნობირვი ჯგუფისთვის - 1:1)
4. ფინანსური უზრუნველყოფის ანალიზი - შესაწავლი იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის 06. კოდის ქვეშ არსებული ხარჯები, ასევე მუნიცპალიტეტის საერთო შემოსავლება და გაკეთდება შეფასება ამ შემოსვლების შესაბამისბოზა ახალი ამაოცენების წარმატებით აღსრულების მოთხოვნასთან. ისევე როგორც შეფასდება თუ რამდენად აქვს მუნიცპალიტეტს ფინანსები თანამშრომლელთა კვალიფიკაციის ამათლების პროგრამებისთვის. შეფასების ანგარიშის სპეციფციკიდან გამოდინარე გაკეთებულ დასკვნებს ექნება ექსპერტული შეფასების სახე და არა ფინანსური დასკვნის დანიშნულება.

ზემოჩამოთვლილ ინტრუმენტებთა თანმიმდებრობა ემთხვევა მათ რიგითობას, იწყება მონაცემთა შეგროვებით და მთავრდება შემთხვევათა ანალიზით. (შესაბამისი ინსტრუმენტების ნიმუშები მოცემულია დოკუმენტის დანართში).

ზემორე ოთხი ინსტრუმენტიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება მოხდება მიზეზ-შედეგობირვი ანალიზის მეთოდით, გამოიყოფა ზოგადი (რომელიც თანაბრად ეხება მიზნობირვი ჯგუფს) და ფენომენალური (რომელიც მხოლოდ ჯგუფის მდგენელ ცალკეულ სეგმენტებს ეხება) საჭიროებანი. გაანალიზდება სოციალური, ინსტიტუციური, საზოგადოებრივი კონტექსტი და ჩამოყალიბდება დასკვნა შემდეგი სახით: ა) არსებული სტატუსი, ბ) მუნიციპალიტეტის შესაძლებლობათა შესაბამისობა ახალი

უფლებამოსილებების აღსრულების მოთხოვნასთან და ბ) კონკრეტული საჭიროებანი მიზნობრივი ჯგუფის შემადგენელი სეგმენტების მიდევით.

კვლევის პროცესში გაკეთებული დასკვნების ვალიდაციის მეთოდი - ღია შეხვედრები საკონტროლო მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან და მიზნობრივი გჯუფის წევრებთან კვლევის პირველადი შედეგების გაცნობის მიზნით და მათი მოსაზრების საფუძველზე საჭიროებათა საბოლოო ანგარიშის შექმნა.

კვლევის ტერიტორიული ჩარჩოები

შეფასების კვლევა წარიმართება 10 მუნიციპალიტეტბში რომლებიც შეირძნენ შედეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ქუთაისი - თვითმმართველი ქალაქი, მესამე სიდიდის ურბანული დასახლება
ხულო - აჭარის ა.რ. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტი
ზუგდიდი - ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე მუნიციპალიტეტი
მარნეული - ეთნიკური უმცირესობებით დასახმებული მუნიცპალიტეტი
გურჯაანი - კლასიკური სასოფლო მუნიცპალიტეტი
ბორჯომი - კარგად განვითრებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მინიციპალიტეტი
დუშეთი - ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე მუნიცპალიტეტი
ონი - მაღალმთიანი მოწყვეტილი მუნიციპალიტეტი
გორი - კონფლიცტის ზონის მიმდებარე მუნიციპალიტეტი
ოზურგეთი - კომპლექსური ტერიტრორიის და შერეული ეკენომიკის მქონე მუნიციპალიტეტი

ათივე მუნიციპალიტეტში გამოყენებული იქნება კვლევის ოთხივე ინსტრუმენტი, იმავროულად 10 მუნიცპალიტეტიდან შერჩეული იქნება შემდეგი 4 საკონტროლო მუნიცპალიტეტი : ქუთაისი, ოზურგეთი, მარნეული და ონი. საკონტროლო მუნიცპალიტეტში ასოციაციის ასპერტები ჩაატარებენ ფოკუსურ ჯგუფს თანამდებობის პირებთან და სოციალური სამსახურის თანამშრომელთა და განიხილავენ შეფასების ანგარიშის წინასწარ დასკვნებს. საკონტროლო მუნიცპალიტეტებიდან მიღებული გამოხმაორების საფუძველზე მოხდება შეფასების საბოლოო ანგარიშის შექმნა.

3. შეფასების პროცესის ეტაპების დეტალური აღწერა

3.1. <u>კვლევის მოსამზადებელი ეტაპი[1]:</u>

3.1.1. ინფორმაციის წყაროების ინდეტიფიცირება - ექსპერტი მოახდენს საჭირო ინფორმაციის წყაროების სისტემატიზაციას და შეისწავლეს უკვე არსებულ ანგარიშებს, გამოცემებს და მონაწცემებს აღნიშნულ საკითხზე. მათ შორის ისეთ წყაროებს როგორიცაა: UNCEF-ის ანაგარიში მუნიცპალიტეტბის

[1] მოსამზადებელი სამუშაოების დიდი ნაწილი დღეისთვის დასრულებულია

შესაძლებლობებზე ბავშთა უფლებების დაცვის სფეროში; ევროპის საბჭოს ანაგარიში "ადგილობრივი ფინანსების სისტემის შეფასების ანგარიში საქართველოშ" და სხვა

3.1.2. პროექტის ექსპერტები შეიმუშავენ ღია კითხავრს რომელიც გამოყენებული იქნება მუნიცოპალური საჯარო მოხელეების გამოკითხვისთვის. (იხილეთ ბმულზე https://docs.google.com/forms/d/1ZB8VBsaCLjIdZXg12UBnDIqap6UCnrYRiKSRo_DwC6c/edit)

3.1.3. 10 მიზნობრივი მუნიციპალიტეტიდან მოთხოვნილი იქნება დებულებები და ნორმატიული აქტები მუნიცპალური ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სფეროში (დიდი ნაწილი ხელმისაწვდომია www.matsne.ge-ზე) და ასევე სხვადასხვა პროექტების ფარგლებში შექნილ სტრატეგიებს, პროგრამებს და პოლიტიკის სხვა დოკუმენტებს

3.1.4. მოპოვებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტების დოკუმენტები, განვლილი წლის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები. "ძირითადი მიმართულების და მონაცემების დოკუმენტი" და საბიუჯეტი პრიორიტეტების დიკუმენეტი.

3.2. <u>კვლევის ეტაპი:</u>

3.2.1. ექსპერტები მოახდენენ მოძიელბული ინფორმაციის, მასალების ანგარიშების შესწავლას ანალიზს, მიღებული ინფორმაციის სინთეზს და ზოგადი და კონკრეტული დასკვნების გაკეთებას.

3.2.2. ანკეტის ლინკი დაეგზავნება თითეული მიზნობრივი მუნიციაპლიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს, ისევე როგორც საკრებულოს შესაბამისი კომისიის ყოველ წევრს და ეთხოვება მათი შევსება. შემსული ანკეტები გაანალიზდება და და დახურული კითხვების სტატისტიკური ანალიზით გამოიკვეთება ძირითადი ტენდენციები, ხოლო ღია კიტხვების ანალიზით შედეგად წარმოჩინდება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიდგომები და აღქმები.

3.2.3. მუნიციპალიტეტის ფინანსების ანალიზის და მათი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის და საჯარო ფინანსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებთან შედარების საფუძველზე მოხდება მუნიციალიტეტების ფინანსურის შესაძლებლობათა შესახებ დასკვნის გაკეთება

3.3. <u>პირველადი ანგარიშის განხილვის ეტაპი:</u>

3.3.1. შეფასების პროცესის შპირველადი ანგარიშის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების განხილვა სამიზნე ჯგუფების,

წარმომადგენლებთან. ასოციაციის ესპერტები ექვევიან საკონტროლო მუნიციპალიტეტს და გამართავენ ორ ფოკუსურ ჯგუფს თითეულ საკონტროლო მუნიციპალიტეტში - ერთს საოციალური სამსახურის თანამშრომლებისთვის და ერთს - საკრებულოს შესაბამისი კომიის წევრებთან. ფოკუსურ ჯგუფებში განხილული იქნება შეფასების ანაგარიშის ძირითადი მიგნენები და დოკუმენტირებული იქნება გამოთქმული შენიშვნები. ჩვენ ასევე ელექტრონული ფოსტით გავუგზავნით შეფასების ანგარიშის თავდაპირველ ვერსიან 10-ვე მიზნობრივ მუნიციპალიტეტს და ვთხოვთ მოსაზრებათა მოწდებას.

3.5. <u>ანგარიშის წარდგენა</u>

3.5.1. საბოლოო ანგარიში - პირველადი ანგარიშის განხილვის შემდეგ დგება საბოლოო ანგარიში, რომელშიც ასახულია კვლევის პროცესი, მეთოდოლოგია, კვლევის მგნებები, პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგები, კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები, ასევე, რეკომენდაციები ამ საჭიროებების აღმოფხვრის მიზნით. ანგარიში წარედგინება დონორს, სამიზნე მუნიციპალიტეტბს და ქვეყნდება ასოციაციის ვებგრერდზე